

### აკონობია

#### კონტროლის პალატამ ხათუაშვილის საწარმოებში სერიოზული დარღვევები აღმოჩენილი ბათუმის სამსახურში

კონტროლის პალატა რევიზიებს ახორციელებს ამ ეტაპზე სერიოზული დარღვევები აღმოჩენილი ბათუმის სამსახურში.

A4

### უცხოეთი

#### მოსკოვი ყაზარულ მდგომარეობაში გადადის



სამი დღის წინ მომხდარ ავიაკატასტროფებს ძნელად მიაწერ შემთხვევითობას.

A5

### საზოგადოება

#### ბასვილითი სხდომა "დრუჟბის" თანხლებით



დარბაზიდან გამოსვლა და "დრუჟბის" გამაყრუებელი ხმის გაგონება ერთი იყო. მექანიკური ზუზუნის დასასრულს ხის ტყევის (ანუ ნაქცევის) ხმა თავად მოვისმინე და ვინმესთვის კითხვა არც დამჭირებია.

A6

### სამართალი

#### არარსებელი საქმის გამოგონებისთვის გამოიძიებული ციხეში აღმოჩნდა

ისანი-სამგორის რაიონის საგამომძიებო სამსახურის უფროსი გამოიძიებულს ვეფხია გოგიას თბილისის პროკურატურამ ბრალი თაღლითობასა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში წარუდგინა.

A7

### ანიონი

27/8 28/8

თბილისი	33 ☀	35 ☀
ქუთაისი	36 ☀	39 ☀
ბათუმი	34 ☀	39 ☀
სოხუმი	31 ☀	34 ☀
ფოთი	33 ☀	37 ☀
თელავი	31 ☀	34 ☀
ზუგდიდი	34 ☀	38 ☀
გორი	30 ☀	32 ☀
ახმეტა	31 ☀	33 ☀
ჭიათურა	33 ☀	36 ☀
ბაზრა	28 ☀	32 ☀
სამტრედიო	35 ☀	38 ☀

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით**

აშშ დოლარი	1.8000
ევრო	2.1708
გირვანქა სტერლ.	3.2296
რუბლი	0.0616

ბავშვთა სახლებისა და თავშესაფრების ზინდართ თვალში მინც ქუჩისკენ უჭირავთ.

## დაკარგული ბავშვობა და ბუნდოვანი მომავალი

### უპატრონო ბავშვების 87 პროცენტს მშობლები ჰყავს



ბავშვთა სახლის აპოკალიფსის ფოტო

ბავშვთა სახლის აპოკალიფსის ფოტო

რამდენიმე ხნის წინათ, მარტყოფის ბავშვთა სახლიდან ცხრა წლის ბიჭი გაიპარა. საღამოს ცხრა საათისთვის იგი ავჭალის ქალთა კოლონიის ჭიშკართან იდგა და პატიმარი დედის ნახვას თხოვდა. ბავშვი მიიღეს და ხუთი დღე კოლონიაში ჰყავდათ. ამ ხნის განმავლობაში ბიჭი არავის მოუკითხავს. მარტყოფში მისი ადგილსამყოფელი მამინაღა შეიტყვეს, როცა კოლონიის დირექტორი ბავშვთა სახლის დირექტორს დაუკავშირდა.

ბათუმში ჩატარებულ მთავრობის გასვლით სხდომებს ერთი დამახასიათებელი ნიშანი აქვს. სანამ პრეზიდენტი დარბაზშია, სხდომა ღიაა. წავა და მთავრობა დახურულ კარს მიღმა მუშაობს. ეს, ალბათ, იმიტომაც ხდება, რომ მინისტრების სიტყვიერი პინგ-პონგი და აქედან გამომდინარე პრემიერის დისკომფორტი ობიექტურად ვარაუდობს იყო წარმოდგენილი.

ლი. "იანვრამდე როგორმე კბილეთ უნდა მივიდეთ, იანვრიდან კი ამ საგადასახადო კოდექსით სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყება," - თქვა პრეზიდენტმა. ბათუმში ჩატარებულ მთავრობის გასვლით სხდომებს ერთი დამახასიათებელი ნიშანი აქვს. სანამ პრეზიდენტი დარბაზშია, სხდომა ღიაა. წავა და მთავრობა დახურულ კარს მიღმა მუშაობს. ეს, ალბათ, იმიტომაც ხდება, რომ მინისტრების სიტყვიერი პინგ-პონგი და აქედან გამომდინარე პრემიერის დისკომფორტი ობიექტურად ვარაუდობს იყო წარმოდგენილი.

42 ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში, რომელიც დღეს საქართველოში მოქმედებს, 5400 ბავშვი ცხოვრობს. იმ პირობებს, რომელშიც ისინი იმყოფებიან, ცხოვრება არც კი შეიძლება ეწოდოს - ბავშვებს იქ საარსებო მინიმუმითაც ვერ უზრუნველყოფენ. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებულ სიტუაციურ ანალიზში ეს ნათლად ჩანს: პატარები, ძირითადად, პურით, ბრინჯით, ლობიოთი იკვებებიან; აკლიათ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, არა აქვთ საპირი, კბილის პასტა და სხვა ჰიგიენური საშუალებები; თითო ოთახში 20-30 ბავშვს ერთად სძინავს, ოთახები არ თბება; არ თბება წყალი, ზამთრის ცივ დღეებშიც კი.

ბავშვთა სახლის აპოკალიფსის ფოტო

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ თავდაპირველად მაღლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ კანონის შემუშავებაში იღებდა მონაწილეობას. განსაკუთრებით კი ქართველ ბიზნესმენებსა და გადახდელთა კავშირს. ახალი საგადასახადო კოდექსით 22 გადასახადიდან 9 დამახასიათებელი ნიშანი აქვს. სანამ პრეზიდენტი დარბაზშია, სხდომა ღიაა. წავა და მთავრობა დახურულ კარს მიღმა მუშაობს. ეს, ალბათ, იმიტომაც ხდება, რომ მინისტრების სიტყვიერი პინგ-პონგი და აქედან გამომდინარე პრემიერის დისკომფორტი ობიექტურად ვარაუდობს იყო წარმოდგენილი.

### რუსეთის სიყვარული იაფფასიანი არყის მიმართ

ნიკო გომარათალი

რუსულმა ყოველდღიურმა ელექტრონულმა გაზეთმა "Vpro" - მ საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა ედუარდ კოკოითთან. რასაკვირველია, გაკვირვებას არ გამოიწვევს ფაქტი, რომ გაზეთის უფროსისტან საუბარში, კოკოითი ყველანაირად ცდილობს საქართველოს მიწასთან გასწორებას, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას და, ამავ დროს, რუსეთისადმი მორჩილებისა და მისთვის დიდი სიყვარულის დამტკიცებას.

სამაჩაბლოში ბოლო დროს მომხდარი მოვლენების შეფასებისას და ამჟამინდელი მდგომარეობის მიმოხილვისას, კოკოითი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს მხარე კვლავ არღვევს ადრე მიღწეულ შეთანხმებებს, მათ შორის - ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებას, და ომის პროვოცირებას ცდილობს.

"ქართველები ახლაც ომისათვის ემზადებიან. მათი მხრიდან არის პროვოკაციებიც, ოსეთის პოზიციების მიმართულებით ისევ რიან, რომ საბასუხო ცეცხლი გამოიწვიონ და შეიარაღებული დაპირისპირება წამოიწყონ. საერთო ჯამში, ქართული მხარე იძულებულია, თავისი სამხედრო ოპერაცია შეწყვიტოს, რადგან მას ძალიან დიდი დანაკარგები აქვს, რასაც არ ახმაურებენ," - აცხადებს კოკოითი რუსულ პრესასთან ინტერვიუში და იქვე, რუსეთისადმი მორჩილებას ამჟღავნებს: "დასახული მიზნის მისაღწევად - რუსეთის შემადგენლობაში შესვლისთვის - ყველაფერს გააკეთებთ. ჩვენ საქართველოსთან არანაირ კავშირში არ ვართ. დღეს სამხრეთ ოსეთი საქართველოს კონსტიტუციაში არანაირად არ არის ასახული. 14 წლის არსებობის მანძილზე, ჩვენ არაფერი მიგვიღია აგრესიის, ტყვეებისა და ნაღმების გარდა".

ბავშვთა სახლის აპოკალიფსის ფოტო

### ქართული სახელმძღვანელოები არაქართულ სკოლებს

განათლების სამინისტრო არაქართულენოვანი სკოლებს ქართული სახელმძღვანელოების დარიგებას იწყებს

ზვიად რაძაძე

განათლების სამინისტროში ახალი გუნდის მოსვლასთან ერთად ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყო. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის შესწავლა და სახელმძღვანელოების უსასყიდლო გადაცემაა. გუშინ სამინისტროს წარმომადგენლობამ კახეთში მოქმედი თორმეტი აზერბაიჯანული სკოლისთვის სახელმძღვანელოები ჩაიტანა. როგორც ჩვენთან საუბარში მინისტრის მოადგილემ თემურ სამადაშვილმა განაცხადა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის წარმომადგენელმა აუცილებელია იცოდეს ქართული ენა. "თუ ქართულენოვან მოსახლეობას ეამაყება, რომ საქართველოს მოქალაქეა, რატომღა უნდა თაკობდეს ამ ქვეყნის ენის და ისტორიის შესწავლას?" - კითხულობს სამადაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არაქართული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სახელმძღვანელოებით მომარაგებას აზერბაიჯანის, რუსეთისა და სომხეთის ხელისუფლება კისრულობდა და სწავლება ამავე ქვეყნების მიერ შედგენილი პროგრამების საფუძველზე ხდებოდა. განათლების სამინისტრო ამჯერად ახალი პროექტის

ბავშვთა სახლის აპოკალიფსის ფოტო



# დაკარგული ბავშვობა და ბუნდოვანი მომავალი

## უპატრონო ბავშვების 87 პროცენტს მოგვლის ჰყავს

## დინსტიტუციონალიზაციის პროგრამა

### პირველი ბავშვობა

ყველაფერ ამის გამო, ბავშვები ხშირად ხდებიან ავად, თუმცა, მათთვის წამლების შექმნაზე სახელმწიფო არ ზრუნავს... ასეთია ამ პატარებისთვის მოზომილი სამყარო. არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვი და გარემო"-ს კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვების 87 პროცენტს მშობლები ჰყავს. იმ შემთხვევების გარდა, როცა პატარებს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვთ, ბავშვთა სახლებში გაკვების მიყვანის მიზნად მძიმე ეკონომიკური პირობები სახელდება. შეინიშნება საინტერესო მომენ-

ტიც – არცთუ იშვიათად, დედ-მამა ელევა უმცროს შვილს, უფროსს ან უფროსებს კი იტოვებს. ამას ფსიქოლოგები ერთადერთ ახსნას უძებნიან – როგორც ჩანს, პატარა თავიდანვე არასასურველი იყო. რაღა თქმა უნდა, ეს ფაქტორი მუშაობს იმ შემთხვევაშიც, როცა ქალი ბავშვს ქმრის გარეშე აჩენს. საქართველოს სინამდვილეში ასეთი რამ ზნეობის ფარგლებს სცილდება. ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოში გამოჩნდნენ ქალები, რომლებიც შვილებს დროებით კავშირების შედეგად აჩენენ და ტოვებენ. ისინი არ არიან მძაძვები, არც უნდოვანი, გამოუცდელი გოგონები – ზრდასრული, ხშირ შემთხ-

ვევაში, ოჯახის პატრონი, ძირითადად, 30-36 წლის ქალები არიან, ჰყავთ ან გაშორებული არიან მეუღლებს, რაიონებიდან დედაქალაქში სამუშაოდ ჩამოდიან, შვილებს დედებს ან დედათილებს უტოვებენ, მოდიან ქმრებთან ერთად, მაგრამ ქმრები აქ სხვა ქალებს უკავშირდებიან, მერე ესენიც ხვდებიან სხვებს და არასასურველი ბავშვებიც ასეთი კავშირებისგან უჩნდებიან. ეს გახლავთ გზები, რომელიც ინსტიტუციონალური დაწესებულებებისკენ მიდის. ამ გზებს, სამუხურავად, ცუდი გაგონებები აქვს. ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში, ბავშვთა სახლებსა და

ინტერნატებში ცხოვრება, როგორც მსოფლიოს ნამყვანმა ფსიქოლოგებმა მრავალნიშნად კვლევებით დაადგინეს, ბავშვებში ინტელექტუალური განვითარებისა და ფსიქიკურ პრობლემებს წარმოშობას, ასოციალურ ქცევას აყალიბებს და ფიზიკურ ზრდას აფერხებს; ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში აღზრდილებს არცთუ იშვიათად უყვარდებიან უკან, ნაცნობ გარემოში დაბრუნებისკენ ქვეყნობით ლტოლვა. ამიტომ ხვდებიან ისინი ხშირად ციხეებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისთვის, რომ ამ ბავშვებს უკეთესი ცხოვრება უსურვროთ.

საქართველოში მოქმედებს მზრუნველობის მოკლებული პატარების დინსტიტუციონალიზაციის პროგრამა, რომელიც ორ მიმართულებას მოიცავს – ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვები ან საკუთარ ოჯახებს უნდა დაუბრუნდნენ, ან კურატორმა – განათლების სამინისტრომ მათ შესაფერისი ოჯახი უნდა მოუძებნოს, სადაც ისინი სრულწლოვან ასაკამდე გაიზრდებიან. პროგრამა ორივე შემთხვევაში ოჯახების ფულად კომპენსაციას ითვალისწინებს: საკუთარ ოჯახში დაბრუნების შემთხვევაში – 60 ლარი (შობლივ ექვსი თვით), შეიღობილობის შემთხვევაში კი – 100 ლარი (ბავშვის სრულწლოვანებამდე).

**ნანა ძაღლაძე**  
თავიდან, განათლების სამინისტრომ პროგრამისთვის ფინანსების მოძიება უცხოეთიდან მაგნიტის, რამდენიმე წლის განმავლობაში პროგრამის "იუნისეფი" აფინანსებდა. ამ დროს უკვე არსებულა კანონი, რომელიც საქართველოში ბავშვთა გაოჯახების ზუსტად ამ პროგრამის პრინციპით ითვალისწინებდა, ოღონდ, დღევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ბავშვთა სახლების შემცირების ხარჯზე უნდა მომხდარიყო – რა თანხასაც ერთ ბავშვზე ურიცხვად ბავშვთა სახლებს, სახელმწიფოს ბავშვის ბიოლოგიური ან მიმღები ოჯახისთვის უნდა მიეცა.

იდეას ამ კანონის, რომელიც პარლამენტმა 1998 წელს დაამტკიცა, განათლების სამინისტროც იწინებდა, ოღონდ, მის განხორციელებას იმ პერიოდში ნაადრევად მიიჩნევდა. **"ამ კანონის ამოქმედებას 20 წელიწადი მაინც დასჭირდება. დრო კი არ იცვლის. თანაც, იმედი გვაქვს, რომ "იუნისეფს" ჩვენი სახელმწიფოც ნელ-ნელა შეეშველება"** – აცხადებდა შეიღობილად აყვანის პროგრამის ყოფილი კოორდინატორი თამარ ამზაშვილი. **"თუ ბავშვთა სახლებს არ შეამცირობენ, ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ამ პროგრამას ვერ გასწვდება. "იუნისეფი" კი როდემდე დაგვაფინანსებს? მერე გაოჯახებულ ბავშვებს რა ბედი ელით?"** – სამინისტროს გადაწყვეტილებას აკრიტიკებდა დედ-მამა და ბავშვთა ქვეკომიტეტის მამინდელი თავმჯდომარე მარინა მირიანაშვილი. მირიანაშვილის ეს მოსაზრება ოთხი-ხუთი წლის წინათ მართლაც რეალური ჩანდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, განათლების სამინისტროს იმედი გამართლდა. დღეს დინსტიტუციონალიზაციის პროგრამა მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. თანაც, პროგრამამ უკვე მოიცავს საქართველოს ხუთი ქალაქს: თბილისი, რუსთავი, თელავი, ბათუმი, ქუთაისი. პროგრამის ფარგლებში, 1999 წლიდან დღემდე, 62 ბავშვთა გაოჯახებული. აქედან 20 – თბილისში (11 მათგანი უნაშვზულედულია), 22 – თელავში (ერთი უნარ-

### მამა ტანინი

ყველაზე ცუდი, სადაც ბავშვთა სახლების ბინადრები შეიძლება მოხდნენ, ქუჩაა, თავისი ორგანიზებული ქაოსით, განსხვავებული მორალით, სასტიკი რეალობით. ბავშვთა სახლების ბინადრები ქუჩას ხშირად ეტანებიან. უპატრონონი და უსახლკარონი არც ქუჩაში დარჩენილები არიან. ბავშვთა სახლებში მიზარებულითა მსგავსად, ვართ ისინიც ცუდმა პირობებმა, მშობელთა სისასტიკემ გამოიყვანა. აწმყო კი იმითაც და ამათაც, ფაქტობრივად, ერთი აქვთ.

## ყველაზე შავი გზა



არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვი და გარემო"-ს კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მოთავსებული ბავშვების 87 პროცენტს მშობლები ჰყავს.

ათევდა ღამეს. ამ ცხოვრებას თავისი შედეგები სწრაფადვე მოაქვს. გლდანის მიმდებარე-გამანალიზებელი ხშირად მიუყვანიათ 12-14 წლის ფხვნიმი გოგონები. ასეთი გოგონების დიდ ნაწილს ათამანგი ერთხელ მაინც აქვს გადატანილი. მათი შემოსავლის ძირითადი წყარო მეძაგობაა. ისინი არც ნებოს ყინვასზე ამბობენ უარს. ბიჭები ამას სისტემატურად აკეთებენ. ყოველდღე ხუთი ლარი მათი შემოსავლიდან ნებოზე მიდის. რაც შეეხება შემოსავლის წყაროს, იგი რამდენიმეგვარია. ქუჩის ბავშვების ნაწილი მათხოვრობს, ნაწილი ქურდობს, ნაწილი ყაჩაღობს, იგი რამდენიმეგვარია. ქუჩის ბავშვების ნაწილი მათხოვრობს, ნაწილი ქურდობს, ნაწილი ყაჩაღობს. ამ ჯგუფებიდან ისინი უკვე ჩამოყალიბდნენ. გარშემოყვით მიმართ მათ მხოლოდ ერთი გრძობა ამოძრავებდა – ზიზღი. ასეთი ფონი ნოყიერი წიაღვია მათთვის, ვისაც მხოლოდ საკუთარი მერკანტილური მისწრაფებები ამოძრავებს. რუსეთში უკვე მოქმე-

დებს მცირეწლოვანი ქილერის ინსტიტუტი. საქმეში ჩახედული ხალხი ჰყვება, რომ 10-12 წლის ბიჭებს იქ სპეციალურად ამზადებენ ყველაზე სასტიკი მკვლელობებისთვის. ცხოვრების წესიდან გამომდინარე, გონებრივად ცუდად განვითარებული ამ ბავშვებით მანიპულირება ხომ ძალზე ადვილია. პატარა ქილერები არაჩვეულებრივი შემსრულებლები არიან და, რაც მთავარია, მწვლად მოსახლებულნი. მათზე ადვილად ვერავინ მიიტყუებს. საქიროების შემთხვევაში, ისინი აღიარებთ მიდიან სამართალდამცველებთან. სამი-ოთხი წარმატებული საქმის შემდეგ კი, მათ დამკვეთები ანადგურებენ. სპეციალისტები შიშობენ, რომ საქართველოში სასურველი ფონი იქმნება ამგვარი გრძობა ამოძრავებდა – ზიზღი. ისინი თქმა, რომ ყველა ქუჩის ბავშვი დამნაშავეა, მართებული, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, თუმცა კავშირი მოუნერსივებელ ცხოვრება-

სა და დანაშაულებრივ სამყაროს შორის, უეჭველია, არსებობს. არასრული სტატისტიკური მონაცემები ხელს უშლის ამ თვალსაზრისით მყარი დასკვნის გაკეთებას, მაგრამ ის, რომ ქუჩის ბავშვების ფუნქციონირებადამნაშავეთა გასაზღვრდავება და ორივე სექსის არასრულწლოვანთა პროსტიტუცია მოჰყავს, ფაქტია. ამ გზით მიღებული შემოსავალი საშუალო ხელფასის მოცულობას ბევრად აღემატებოდა და ბევრი ასე ოჯახს, უმცროს და-ძმას არჩევდა. 1997 წელს ჩატარებულმა, 12-16 წლის 112 პროსტიტუტის გამოკითხვამ აჩვენა, რომ გოგონების 42 პროცენტს მათგან საკუთარ თავს შემოსავალს მხოლოდ 12 პროცენტს ახმარდა, 32 პროცენტს პროსტიტუციის მათხოვრობასა და ქურდობას უთავსებდა, სხვა პროსტიტუტი გოგონები ყიდვდნენ გაზეთებს, ნაყინს, მუშაობდნენ კაფეებში, ასუფთავებდნენ ეზოებსა და სადარბაზოებს. დიდ ნაწილს პროსტიტუციაში ხელს მშობლები

## ოჯახი - საკუთარი ადგილი ბავშვისთვის

*"ერთი მიტოვებული ბავშვის გაზრდა მეტი სიკეთეა, ვიდრე ცხრა საკუთარი ნინო"* – ეს სიტყვები უნდა გრძობა ჩხიკვიძლის კუთხით. მან მოგვარე ნინოს ჩხიკვიძლი შეიღობილად ორი წლის წინათ აიყვანა. არ მინდოდა, ნინოსაც ისეთი მოუყენილი თვლები ჰქონოდა, ბავშვთა სახლში რომ აქვთ ხოლმეო. – ამბობს იგი. ნინოს თვალები დღეს მხოლოდ მშობლების ხსენებაზე უცრემლიანდება.

### ნანა ძაღლაძე

ორი წლის წინათ, როცა პატარა ნინო რიტა ჩხიკვიძლმა საკუთარ ოჯახში მიიყვანა, ისეთი დათრგუნული და გატანჯული ყოფილა, ღამით ძილი უჭირდა, სულ ტრიოდა. ქალბატონ რიტას უთქვამს, თუ ასე ინერვიულდები, ვეღარ გაიზრდები და ნინოც უშეშებულა, ცდილობდა, დამშვიდებულიყო. თან დროც გავიდა, მერე ოჯახის ყურადღებამ და სითბოთი თავისი გაიტანა. დღეს პატარა ნინოს თვალები ბავშვთა სახლის ბინადართა გამომეტყველებას მხოლოდ მაშინ იღებს, როცა მშობლებს გაახსენებს.

**"სანამ დედა ცოცხალი იყო, მხიარული ვიყავი, ამ ყოფნა თავიდან გამიჭირდა, მაგრამ უკვე შევეჩვიე და ახლაც მხიარული ვარ"** – ამბობს ნინო ჩხიკვიძლი, რომელიც ახლა 12 წლისაა. მამა არ ახსოვს. ცხრა წლამდე დედასა და ძმასთან ერთად თბილისში ცხოვრობდა. სამი წლის წინათ დეამისი ნინოსთან ერთად რუსეთში წავიდა საცხოვრებლად, მაგრამ ერთ წელიწადში ინფარქტით გარდაიცვალა და მარტულად ჩაგრენილი გოგონა 20 წლის ძმამ თბილისში ჩამოიყვანა. თუმცა, თავის რჩევა გაუჭირდა და საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. ბინა გაყიდა, ნინოს კი წყნეთის ბავშვთა სახლში უპირებდა მიზარებას. რიტა ჩხიკვიძლი ნინოს ცხოვრებაში სწორედ ამ დროს გამოჩნდა. მან გოგონას ამბები ახლობლებისგან იცოცხდა და დახმარება უნდოდა. დედის ტიტუციონალიზაციის პროგრამის ფარგლებში, თითო ბავშვის მოვლისთვის იღებს 30 დოლარის ეკვივალენტს ლარებში. ამგვარი დახმარება ექვს ლარებში, თუმცა, ყოფილა შემთხვევები, იგი გაუხანგრძლივებინათ. გარდა იმისა, რომ სოციალური მუშაკები გულდასმით მუშაობენ ოჯახებთან, რომლებსაც აქვთ ბავშვის თვისობის დაფიქრება. გოგონას, ასევე ოჯახებთან, რომლებიც ბავშვის შეიღობილად აყვანას აპირებენ, ოჯახებს სოციალური პრობლემებისა და უწყვეტ.

## საერთაშორისო პროექტები - ხსნი გზა

როგორც ყველა პრობლემა საქართველოში, დინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით არსებული პრობლემაც მატერიალურ სიჭირბოვანს უკავშირდება. ხელი ამ შემთხვევაშიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოგვიჩვენეს. 1999 წელს, დინსტიტუციონალიზაციის (სახელმწიფო დაწესებულებებში ბავშვების გამოყვანის) პროგრამის განსახორციელებლად, განათლების სამინისტრომ გაერო-ს ბავშვთა ფონდსა და ბრიტანულ ორგანიზაციას EveryChild-ს სთხოვა დახმარება. დაიწყო სამხრეთი ხელშეკრულება და შემუშავდა საცდელი პროექტი, რომელმაც სათავე დაუდო შემდგომი დინსტიტუციონალიზაციისა და ბავშვთა მიტოვების პრევენციის პროექტებს.

### მამა ტანინი

პროექტის ფარგლებში ბავშვთა სახლებიდან გამოყვანილი იქნა და ბიოლოგიურ ოჯახებს დაუბრუნდა 64 ბავშვი, მათგან 5 – უნარშეზღუდული; პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად, 120 ბავშვი საკუთარ ოჯახში დარჩა; დახმარება აღმოუჩინეს 25 მიწოდებულ ოჯახს, სადაც დღეს 54 ბავშვი ცხოვრობს, აქედან 14 უნარშეზღუდულია; მოზადდა 40 სოციალური მუშაკი. 2000 წლიდან მოყოლებული, პროგრამამ 238 ბავშვს გაუნია დახმარება, თუმცა, 2001 წელს ბავშვთა სახლებს 208 პატარა მიზარდეს. ნახევარი – მარტოხელა დედის შვილია. ამის გათვალისწინებით, UNCEF-ის (გაერო-ს ბავშვთა ფონდი), EveryChild-ის, World Vision-ის, UNFPA-სა (გაერო-ს ოჯახის დაგვიწყის ასოციაცია), IMF-ის (საერთაშორისო სამონეტო ფონდი) შემოწონებით, გაერო-ს ბავშვთა ფონდი, EveryChild და World Vision International, საქართველოს განათლების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, ჩვილ ბავშვთა მიტოვების

პრევენციისა და დინსტიტუციონალიზაციის პროექტს ახორციელებს. დროორ ორგანიზაციებს იმედი აქვთ, რომ ორ წელიწადში 75 პროცენტით შეამცირებენ თბილისის სამშობლო ოჯახების ჩვილების მიტოვებას, მოახდენენ 25 ჩვილის დინსტიტუციონალიზაციის და ხელს შეუწყობენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას ბავშვთა მიტოვების საკითხებთან დაკავშირებით. ხანმოკლე დროის განმავლობაში, "ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დინსტიტუციონალიზაციის პროექტის" საშუალებით, რომლის ფარგლებშიც თბილისში დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარი მოქმედებს, სამშობლო სახლებსა და საკონსულტაციო ცენტრებში გამოვლინდა 29 დედა, რომელიც ჩვილის მიტოვებას აპირებდა. 15 მათგანი დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარში მოთავსდა, დანარჩენებმა კი, სოციალური მუშაკების დახმარებისა და კონსულტაციების შედეგად, ახალშობილი შეინარჩუნეს; მიტოვებას გადაურჩა ასევე 30 ახალშობილი; 12 ბავშვი მოთავსდა მინდობით აღმზრდელ ოჯახში; ხუთი ბავშვი ჩვილ ბავშვთა

ქალბატონ რიტასა და მის მეუღლეს, მწერალ ზეზუა მედველიძის ორი ვაჟივითი ჰყავს. ერთი, ოჯახთან ერთად ცალკე ცხოვრობს, მეორე კი მშობლებთან. **"ზეზუა და ნინო ყველა სურვილს უსრულებენ. მე მცხერია ვარ, ამიტომ მათთან უფრო თავისუფლად არის. მე კი მინდა, რომ არაფერი დამამოკლოს და, თუ რამე ანუხებს, პირველ რი-**

# კონტროლის პალატამ ბათუმის სანარმოებში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა

საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში მიმდინარე რეორგანიზაციის კონტროლის პალატა ფართომასშტაბიანი რეფორმებით უერთდება, პარალელურად კი, სახელმწიფო ქონების განკარგვისათვის დაკავშირებით რევიზიებს ახორციელებს. ამ ეტაპზე სერიოზული დარღვევებია აღმოჩენილი ბათუმის სამ

## დინა ჩაჩავა

რეფორმების პარალელურად, საქართველოს კონტროლის პალატა თავის ძირითად სამუშაოს – სახელმწიფო ქონების განკარგვისათვის დაკავშირებული შემოწმებებს განაგრძობს. რევიზიები "თბილისში", "ჭიათურის რაიონში", "რუსთავის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სექტორში", "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში", "მადნეულში", ფოთის გემთმშენებელ და ელექტროგაონმეცმეებელ ქარხანებში მიმდინარეობს.

როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარე ზურაბ სოსელიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, უკვე დასრულდა ბათუმის სამი ობიექტის – ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ბათუმის სახლგარეშე ნავსადგურისა და შპს "ზათავთობიმიქსის" შემოწმებები, სადაც სერიოზული დარღვევები აღმოაჩინეს. **"დარღვევები, ძირითადად, იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ქონება ძალიან დაბალ ფასებში იქნა გაყიდული. არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის სანარმო ძალით დიდი რაოდენობით იქნა ნაწილი, რომელიც რენტაბელურად ითვლებოდა, პრივატიზებულ იქნა, ხოლო დანარჩენი - სახელმწიფოს ხელში დარჩა. ბათუმის თითოეულ ამ სანარმოში ფინანსური დარღვევების ციფრბრები მარცხენა მხარეს აღმოაჩინეს, 3-დან 12 მილიონამდე მერყეობს,"** - განაცხადა სოსელიამ.

კონტროლის პალატაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, უწყების დაქვემდებარებაში მყოფ თითოეულ დეპარტამენტს ამერიკიდან მხოლოდ ერთი სფეროს კონტროლი დაევალება. აქამდე თითოეული დეპარტამენტის დაქვემდებარებაში რამდენიმე სფერო იყო. **"ახალი ცვლილება საშუა-**

ლებს მოვეცემს, რომ შემომხმების მასალები უფრო სრულყოფილი იყოს და ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელი-სუფლებას, შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად, რეალური სურათი წარუდგინოთ," - იმდროინდელი სოსელია.

უწყებაში გატარებული რეფორმების შედეგად გაუქმდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დეპარტამენტები, სადაც დედადებოდა სტრუქტურული ერთეული, თუმცა შეიქმნა ასევე ახალი უწყება - გენერალური ინსპექცია. გარდა ამისა, ერთი თვის განმავლობაში კონტროლის პალატაში კადრების ოპტიმიზაცია განხორციელდა. თანამშრომელთა რაოდენობა 37 პროცენტით შემცირდა. **"ამან საშუალება მოგვცა, დარჩენილი თანამშრომლებისთვის ხელფასები 2-3-ჯერ გავაზარდა,"** - აღნიშნა კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

სოსელიამ ასევე განაცხადა, რომ შემდგომის მხრივ ნახევარში თანამშრომელთათვის წერილი ტესტირების ჩატარება დაეგეგმოს, რაც, მისი აზრით, კონტროლის პალატას ახალი, კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვის საშუალებას მისცემს.

პირველი ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ უკვე გაგზავნილია შემწომებლები აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ცენტრალურ ორგანიზაციებში და რევიზიებში. **"ჩვენთვის უარესად მნიშვნელოვანია კლუბებისა და რევიზიების ჩატარება უცხოელ ექსპერტებთან ერთობლივად. გერმანულ მხარესთან ერთად მომავალში ასეთი რევიზიები რეალური სექტორის, ფისკალური და პრივატიზაციის სფეროებში ჩატარდება, მომავალში კი ერთობლივი შემოწმებები აშშ-ს და გერმანიის სახელმწიფო სამსახურის მონაწილეობით იგეგმება,"** - განაცხადა სოსელიამ.

## მოკლედ

### "ლარის გამყარება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმა განაპირობა"

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანავაძის შეფასებით, ლარის გამყარება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმა განაპირობა. მანავაძის განცხადებით, ლარის კურსის ზრდას აშშ დოლარის მიმართ ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის, აღსანიშნავია ჩრდილოეთი ეკონომიკის შეზღუდვის ხარჯზე საქმიანი აქტივობის ლეგალიზაციის პროცესი, რომელიც, ავტომატურად, ეროვნული ვალუტის გამოყენების არეალის გაფართოებას და მასზე მოთხოვნის ზრდას ნიშნავს. ამასვე ხელი შეუწყო სახელმწიფო ბიუჯეტმა, რომლის ბიუჯეტის გასული წლის მნიშვნელოვნად აღმატება. "თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბიუჯეტში მოხილვდება რეალური ფულადი სახსრები, მაშინ, როდესაც შარშან ქვეყნის საფინანსო გეგმის დიდი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზე სრულდებოდა, ფაქტობრივად, ბიუჯეტის მხრიდან ლარზე მოთხოვნა ორ-სამჯერ უფრო გაიზარდა," - განაცხადა მანავაძემ და აქვე აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მომატებული შემოსავლების ხარჯვა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მისი დაუმტკიცებლობის მიზეზით ვერ ხერხდებოდა, რის გამოც მიმოქცევაში ვეღარ ბრუნდებოდა ფულადი მასის სერიოზული ნაწილი. ეს კი შიდა საავტომობილო ბაზარზე ლარის დროებით დეფიციტს ქმნიდა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, უახლესი პერიოდში რესპონდენტების ინტენსიური ხარჯვა დაიწყო, რაც ფულის მიწოდებას საგრძნობლად გაზარდის.

**ინტერ-პრესი**

# საქართველო ბრინჯაოს ხანიდან გამოვიდა

## პირველი გავრცელება

გადასახადი 20 პროცენტი (იყო 33); დღე 18 პროცენტი (იყო 20); აქციზი და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის გადასახადი (დღევანდელი); ქონების და მინის გადასახადი 1 პროცენტი - ეს არის გადასახადები, რომელიც დარჩა. კაპიტალური ინვესტიციებზე ინვესტორები დაუყონებლოდ მიიღებენ დღე-ს ჩათვლას, ხოლო დღე-ს ცეკვე გადამხდებოდა არ ჩათვლება ცეკვე იურიდიული პირი.

გაუქმდება სოციალური გადასახადის მინიმალური ოდენობა - 16 ლარი, ხოლო ფიზიკური პირების შემოსავლებიდან აღარ გამოიქვითება 2 პროცენტი. ახალი კოდექსით გადახდებულა უფლებების დაცვისთვის შემოღებული იქნება მოუკერძოებელი სტრუქტურა - საგადასახადო არბიტრაჟი, სადაც საგადასახადო დავების გადაჭრა გამარტივებული წესით მოხდება. ერთი არბიტრის დანიშნავს სამინისტრო, ერთს - მენარმე და ეს ორივე მესამესთან იქნება დაკავშირებული, სამეც ერთად კი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ პირებად არიან ჩაფიქრებულნი. კოდექსში ახალი სიტყვაა საგადასახადო ომბუდსმენიც.

როგორც კანონის ინიციატორები ამბობენ, ეს კოდექსი სრულიად განსხვავებულია ძველს ევროპაში. **"ჩვენს ქვეყანას ყველაზე ღირსი ფენა ჰყავს. მომავალი წლისთვის ჩვენ უნდა შევქმნათ საგანგებო ფონდი, რათა, დაახლოებით, 250 000 ოჯახი ავაცილოთ სიღარიბის უკიდურეს ზღვარს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. ამ საგადასახადო კოდექსს საქართველოს პრეზიდენტი ქვეყანაში ზრდისა და პროგრესის ერთ-ერთ და ახალი ცხოვრებისთვის აუცილებელ საშუალებად მიიჩნევს. მიხელო სააკაშვილი შეეხო წინასაარჩევნო იმ დაპირებას, რომლის მიხედვითაც ინდენარმეები მოლიანად გათავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან. **"ახალი კოდექსით სულ მალე ეს შესაძლებელი გახდება და დამწყებ და მცირე ბიზნესსაც გაათავისუფლებთ გადასახადებისგან,"** - თქვა პრეზიდენტმა.

მთავრობის სხდომაზე ერთი სასაცილო მომენტიც იყო. პრეზიდენტი ტრადიციულად იმ დაქვრივ კორუმპირებულებს და, კერძოდ, პოლიციელებს შეეხო, ვინც ახალი ხელისუფლების დროს გაბედა და ფული აიღო. მას ძალიან უნდოდა ეთქვა, სად აპირებდა მათ გაშვებას, მაგრამ გაახსენდა, რომ კახა ბენდუქიძეს ტელეკამერების წინ ეს კარგად გამოხდის და შეპირდა, იქ დასაშვები ხალხის სისამრევით, ოღონდ, დეპუტატებს ნუ გვიბრაზებთო...

მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის ბათუმის რეზიდენციასთან პოლიციები გაიმარეს ბათუმის ცენტრიდან საკოლმეურნეო ბაზრის გადატან-



ბათუმში ჩატარებულ მთავრობის კასელით სხდომაზე ერთი დამახასიათებელი ნიშანი აქვს. სანამ პრეზიდენტი დარბაზშია, სხდომა ღიაა. ნავა და მთავრობა დიხურულ კარს მიღმა შემოიხსნა.



მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის ბათუმის რეზიდენციასთან პოლიციები გაიმარეს ბათუმის ცენტრიდან საკოლმეურნეო ბაზრის გადატანის მონიშნულ მდებარეობაში.

საინფორმაციო ფოტოაქტი

ის მონიშნულ მდებარეობაში. ასიოდ მომიცილო მომენტიც იყო. პრეზიდენტი ტრადიციულად იმ დაქვრივ კორუმპირებულებს და, კერძოდ, პოლიციელებს შეეხო, ვინც ახალი ხელისუფლების დროს გაბედა და ფული აიღო. მას ძალიან უნდოდა ეთქვა, სად აპირებდა მათ გაშვებას, მაგრამ გაახსენდა, რომ კახა ბენდუქიძეს ტელეკამერების წინ ეს კარგად გამოხდის და შეპირდა, იქ დასაშვები ხალხის სისამრევით, ოღონდ, დეპუტატებს ნუ გვიბრაზებთო...

ზე, ალბათ, არც ძველ ხალხურ საკრავებზე, კობონზე დამკვრელის გამოჩენა იყო ინკოგნიტო ორგანიზატორების ინიციატივა... საერთოდ, ეს ბაზარი მართლა გაბაზრდა. ვასაგები იყო, როდესაც ამგვარ საპროტესტო მიტინგებს ბაზრის ძველი ადმინისტრაცია და სამი-ოთხი "ბაბუინი" უწყობდა ხელს. გაუგებარია, ახალ ბაზარში ამ მიტინგებით უკეთეს პირობებსაც გამოვლიან. პრესასთან საუბარში მიტინგის ორგანიზატორებზე უარს აცხადებდა "საქართველოს ერთიანობის კავშირის კოორდინატორი" ჯუმბერ თავართქილაძე, თუმცა, ხალხს შედგარად დგომისკენ კი მოუწოდებდა. მიტინგ-

ველად და დასამტკიცებლად სექტემბერში პარლამენტში შევა. პრეზიდენტის რეკომენდაციით, კოდექსი პირველ იანვარს უნდა შევიდეს ძალაში. მაგრამ, როგორც წესი, პარლამენტში ყოველთვის მოიძებნებიან კაზუსიტებით უონგელიორების მოყვარული დეპუტატები ინიციატივა... საერთოდ, ეს ბაზარი მართლა გაბაზრდა. ვასაგები იყო, როდესაც ამგვარ საპროტესტო მიტინგებს ბაზრის ძველი ადმინისტრაცია და სამი-ოთხი "ბაბუინი" უწყობდა ხელს. გაუგებარია, ახალ ბაზარში ამ მიტინგებით უკეთეს პირობებსაც გამოვლიან. პრესასთან საუბარში მიტინგის ორგანიზატორებზე უარს აცხადებდა "საქართველოს ერთიანობის კავშირის კოორდინატორი" ჯუმბერ თავართქილაძე, თუმცა, ხალხს შედგარად დგომისკენ კი მოუწოდებდა. მიტინგ-

# ნიღარლანდების ბანკითა და სავინანსო კომპანიის (FMO) მონაწილეობით "საქართველოს ბანკში" საქრდიტო ხაზი გაიხსნა

2004 წლის აგვისტოში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა და ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამის მთლიანი ღირებულება "საქართველოს ბანკში" 15,5 მილიონ ევროს მიაღწევს.

საქართველოს საბანკო სისტემაში ეს ყველაზე დიდი ღირებულებაა, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ერთ ბანკზე იქნა დაშვებული ვაჭრობის ხელშეწყობის ფარგლებში.

ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამის ღირებულება გაიზარდა მას შემდეგ, რაც ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიამ (FMO) გამოთქვა პროგრამაში მონაწილეობის სურვილი.

აღსანიშნავია, რომ ეს ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კორპორაციის მიერ გახსნილი პირველი საკრედიტო ხაზია საქართველოში. გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო იმანაც რომ ლონდონში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე "საქართველოს ბანკი" ვაჭრობის დაფინანსების კუთხით 2003 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა. გასული წლის მანძილზე დოკუმენტური ოპერაციების მაღალ პროფესიულ დონეზე წარმოებისათვის საბანკო ჯილდო "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილეს ვლადიმერ რობაქიძეს გადაეცა, რომელმაც აღნიშნა, რომ მიღწეული წარმატება შედეგია ბანკის იმ სტრატეგიისა, რომელიც ყველა საბანკო მომსახურების უმაღლეს დონეზე განვითარებას იხსახავს მიზნად.

ვაჭრობის დაფინანსებისა და დოკუმენტური ოპერაციების წარმოების მხრივ "საქართველოს ბანკში" არსებული პრაქტიკა მაქსიმალურად ოპერატიულს, მარტივსა და ფექტიურს ხდის კლიენტების მომსახურებას, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა პროფილის კომპანიებს ფექტიურად აწარმოონ საქმიანობა.

იმ ძირითად უპირატესობებს შორის, რასაც "საქართველოს ბანკი" სთავაზობს მომხმარებლებს, აღსანიშნავია გრძელვადიანი დოკუმენტური ოპერაციების წარმოების შესაძლებლობა, რომლის ვადაც 2-3 წლამდე მერყეობს, დოკუმენტური ოპერაციებისათვის გამოყოფილი ღირებულება, საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკების დახვეწვა, ოპერატიულობა, კვალიფიციური კონსულტაცია და სხვა მრავალი.

2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ადგილობრივ ბაზარზე "საქართველოს

ბანკის" წილმა დოკუმენტური ოპერაციების წარმოების კუთხით 34,82% შეადგინა, რაც სხვა ქართულ კომერციულ ბანკებთან მიმართებაში "საქართველოს ბანკს" ლიდერის პოზიციას ანიჭებს.

2003 წელს დოკუმენტური ოპერაციების მოცულობამ შთამბეჭდავ ნიშნულს მიაღწია. განხორციელებულ იქნა 22 მილიონ 561.550,41 ათასი ამერიკული დოლარის მოცულობის ოპერაციები, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამაზე (TFP) მოდი.

"საქართველოს ბანკი" 1996 წლიდან აქტიურად არის ჩართული ვაჭრობის დაფინანსების საქმიანობაში, რაშიც იგი ოპტიმალურად იყენებს როგორც თავის რესურსულ ბაზას, ისე უცხოური საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილ საკრედიტო ხაზებს, როგორცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამა, მოკორესპონდენტო ბანკების მიერ დამტკიცებული ღირებულებები და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის საკრედიტო ხაზი 3 მილიონი დოლარის ოდენობით.

"საქართველოს ბანკი" ფლობს ვაჭრობის ფინანსირებისათვის საჭირო ყველა ინსტრუმენტს და პროფესიულ დონეზე მომსახურებულ კადრებს. მიღწეული წარმატებებიც პირველ რიგში საკრედიტო და დოკუმენტური ოპერაციების წარმოების პროფესიონალიზმითა და კლიენტებისათვის შექმნილი ოპტიმალური პირობებით იქნა მიღწეული.

დოკუმენტური ოპერაციების წარმოების მხრივ "საქართველოს ბანკის" პოზიტიური მანქნებლები ყოველწლიურად იზრდებოდა. 1998-99 წლები გადაწყვეტი იყო აღნიშნული ოპერაციების როგორც მოცულობის, ისე რაოდენობის მხრივ. ამ პროცესის დანქარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გერმანული ბანკების "კომპერტბანკის", "დოინგ ბანკისა" და "დრუხენ ბანკის" მიერ გამოყოფილმა საკრედიტო ხაზებმა, რამაც ხელი შეუწყო დოკუმენტური ოპერაციების დახვეწა განვითარებას.

1999 წელს "საქართველოს ბანკი" შეუერთდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამას (Trade Facilitation Program TFP). თავდაპირველად ამ კუთხით ნახატარებელი ოპერაციებისათვის 3 მილიონი ევროს ოდენობის საკრედიტო ღირებულება იქნა დაშვებული, რაც 2003 წელს 7 მილიონ ევრომდე გაიზარდა. ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიის საშუალებით კი ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამა 15,5 მლნ ევრომდე გაიზარდა.

"საქართველოს ბანკის" კორპორატიული კლიენტურა აქტიურად არის ჩართული საქსპორტო და საიმპორტო ოპერაციებში. ვაჭრობის ფინანსირების მოთხოვნის ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა და მიმდინარე რეგიონალური პროექტებიც წარმოადგენს, როგორცაა, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის (BTC) პროექტი, რომლის ოფიციალური მომსახურე ბანკია "საქართველოს ბანკი".

# მოსკოვი ყაზარმულ მდგომარეობაზე გადადის

ტერაქტი თუ ბარდაგი რუსეთის ცაში?

რუსულან ნიკარაძე  
საპ. კორ. მოსკოვი

მოსკოვი ტერაქტიდან ტერაქტამდე ცხოვრებას უკვე ისე მიეჩვენა, რომ უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი, მრავალმილიონიან ქვეყანას, ერთი შეხედვით ნაკლებად აშფოთებს. სამი დღის წინ მომხდარ ავიაკატასტროფებსაც ძნელად მიანერ შემთხვევითობას. ერთი და იმავე აეროპორტიდან თითქმის ერთდროულად აფრენილი თვითმფრინავების სინქრონული ვარდნა ნამდვილად არ გავდა ტექნიკური გაუმართაობის შედეგად, რასაც ასე ჯიუტად ამტკიცებენ რუსეთის ოფიციალური წრეები. დატრიალებულ ტრაგედიას რუსი სპეციალისტები და დამოუკიდებელი ექსპერტები სხვას ვერაფერს არქმევენ, თუ არა ტერორისტების მიერ ლაინერის ხელში ჩაგდებას. რა მოხდა შემდეგ? ამ შეკითხვაზე პასუხი ჯერ არ არსებობს. თვითმხილველთა მტკიცებით, ორივე შემთხვევაში, ცაში ჯერ აფეთქების ხმა გაისმა, შემდეგ ციდან ავიალაინერთა ნამსხვრევები წამოვიდა. ასეთ პირობებში ადამიანურ ფაქტორსა და ტექნიკურ გაუმართაობაზე სპეციალისტებს საუბარი არასერიოზულად ეჩვენებათ. უბრალო ხალხიც, ოფიციალისგან განსხვავებით, ხელალებით ამტკიცებს, რომ ტერორისტული შეტევა ქვეყანაში კრემლის პოლიტიკით უკმაყოფილოთა მიერაა განხორციელებული. მართალია, ვერჯერობით, მომხდარზე პასუხისმგებლობა არავის უკისრია, მაგრამ ტერაქტების ვერსიას ვერ გამოირცხავს თვით გენერალური პროკურორიც. ამ ვითარებაში რუსეთის პრეზიდენტი სოჭში შევხულებას წყევლავდა მოსკოვში მოფრინავს. რუსეთის ტელევიზია ვერაფერს უხერხებს თვითმხილველთა მონათხრობს და იძულებულია, ეთერში გადასცეს კატასტროფების ადგილას მცხოვრები ადამიანების მონაყოლი. ყველა, როგორც ერთი, ამტკიცებს, რომ ჯერ ცაში ძლიერი აფეთქებების ხმა ისმოდა.

მაგრამ უამისოდაც მოსკოვის ანალიტიკური წრეები შემაშფოთებულ პროგნოზს აკეთებენ: ისინი მომხდარს ლოკალურად უკვე შირებენ ჩეჩნეთში დაგეგმილ რეგარემე საპრეზიდენტო არჩევნებს. საგარეოდ, იქვერის წინააღმდეგობის მებრძოლთა აქტივობა თავის კულმინაციას არჩევნების დღეებში მიაღწევს, რაც, თავის მხრივ, რუსეთის სპეცსამსახურებს კონტრდატყვისათვის



სამი დღის წინ მომხდარ ავიაკატასტროფებს ძნელად მიანერ შემთხვევითობას.

სრულ კარტ ბლანშს მიაწიჭებს. **“თუ აღმოჩნდება, რომ ორივე თვითმფრინავი ჩეჩენმა ტერორისტებმა ააფეთქეს, გარდაუვალი იქნება ჩეჩნეთში ფედერალური ძალების მძაფრი რაქცია, მოელს ქვეყანაში უშიშროების ზომების მორიგი გაძლიერება, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან იმ ქვეყნებისადმი სანქციების შემოღება, ვინც ასე თუ ისე ეხმარებიან ან, უბრალოდ, ესაუბრებიან ჩეჩენი ტერორისტების წარმომადგენლებს.”** - აღნიშნავს რუსული გაზეთი “ვრემია ნოვოსტი”.

რუსეთის საზოგადოებრივი წრეები მთელი სერიოზულობით საუბრობენ ავიაკატასტროფების პოლიტიკურ სარჩულზე. ანალიტიკოსები ელოდებიან, რომ მალე რუსეთის ხელისუფლება მომხდარს თავის სახელს დაარქმევს და ჩეჩნურ კვალზე გააკეთებს განცხადებას. **“თუ რუსეთის ცაში ტერორისტულ აქტს მართლა ჰქონდა ადგილი და თვითმფრინავები კამიკაძეებმა ააფეთქეს, მაშინ ჩეჩნეთში ვითარების მორიგ გამწვავებას უნდა ველოდეთ.”** - ასეთ დასკვნამდე მიდინ რუსი სამხედრო ექსპერტებიც. მათ აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევნები ფორმალურ ხასივობა ატარებს, ანუ ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილია, ამ ფაქტმა კი, შეიძლება ჩეჩენი ხალხის სერიოზული მღელვარება გამოიწვიოს, რაც, გამოირცხვლი არ არის, რუსეთის დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში მორიგი ტერორისტული აქტებით აღინიშნოს.

მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტი სერგეი მარკელონოვი თვლის, რომ **“თუკი ხელისუფლება ტერაქტის ჩეჩნურ ვერსიას აღიარებს, ამ დღეებში რუსეთში სამხედრო-პოლიტიკურმა დაძაბულობამ შეიძლება თავის პიკს მიაღწიოს.”**

კრემლში დაბრუნებული ვლადიმერ პუტინი 26 აგვისტოს გლოვის დღედ აცხადებს რუსეთის მთელ ტერიტორიაზე და მორიგი დაღუპულებისათვის მორიგი კომენსაციის გაცემის თაობაზე და ვალდებებს იძლევა. მხოლოდ ამის შემდეგ უსამძიმრებს ტრაგედიის მსხვერპლთა ოჯახებს. დარბა თუ არა რუსეთის პრეზიდენტის სოჭში მოუგვარებელი საქმეები, სადაც ბოლო დღეებში რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების სიმძიმის ცენტრმა გადაინაცვლა? ან რა მოუტანა რუსეთს მისმა არყოფნამ კრემლში?

რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ ტერაქტი ცაში ბოლო ტრაგედია არ არის, და რომ ტერორისტული მოსკოვში მორიგი აქციებისათვის ემზადებიან. მოსკოვში არსებობს სხვა ფორსიაც, რაც ასე პოპულარული იყო რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების წინ, მოსკოვში საცხოვრებელი სახლები აფეთქებების შემდეგ და ღუბ-

როკის დღეებში. ამ ვერსიას უბრალო და სამინელი სახელი აქვს: **“ფეცსე აფეთქებს რუსეთს.”** ეს სათაური ცნობილი ოლიგარქის ნიგნის სათაურია. რუსი ოზიგატე-ლი კი, ცოტა სხვაანაირად ფიქრობს: **“ჩვეულებრივი ბარდაგი რუსეთის ცაში,”** - ამბობს იმ ხალხის შვილი, ვინც შევხვულია აფეთქებებს მეტროში, ავტობუსების გაჩერებაზე, განუკითხობას ქუჩებში.

რუსეთის ოფიციალური პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრების გარდა სხვა ფექტურ ზომებს ამ ეტაპზე ვერ ხედავს. მოსკოვში სტრატეგიული ობიექტების დაცვა მთლიანად სპეცსახურების კომპეტენციაში გადავიდა. კრემლის უმოქმედობითა და სპეცსამსახურებზე მიყენებული დარტყმით ხსნის ავიაკატასტროფების გამომწვევ მიზეზებს რადიო “უბო მოსკვის” მიერ გამოკითხულთა 80 პროცენტით.

**“პრაქტიკულად ერთი და იგივე აეროპორტიდან რეგულარული რისების შესრულებისას ორი სამგზავრო თვითმფრინავის სინქრონული დაღუპვა ჩვენ გვამოწმებს, ჩვენს ტკივილსა და გულფას ინეგებს, მაგრამ არ გვაკვირვებს. აი, რა არის ყველაზე სასოში,”** - წერს რუსული პრესა. რუსული მედია შემოთავაზებს აღნიშნავს, რომ ტერორისტულმა საფრთხემ და, ფაქტობრივად, ომის ზღვარებზე მდგარმა კავკასიამ შეიძლება ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე დიდი გავლენა მოახდინოს.

## იმპროვიზირებული “ჩქინის ფარდა” და ჩრდილოეთ აფრიკაში განთავსებული ლტოლვილთა ევროპული ცენტრები

ევროკავშირის ოუსტიციისა და უსაფრთხოების ახალ მინისტრს როკო ბუტილიონეს მიაჩნია, რომ ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ ერთიანი ევროპის საგარეო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ცალ-ცალკე უნდა გაიღოს ხარჯები. ბუტილიონე, რომელსაც ამჟამად იტალიაში ევროპის საკითხთა მინისტრის პოსტი უკავია, აღნიშნავს, რომ ისეთი ქვეყნით, როგორცაა, მაგალითად, იტალიის მიერ გატარებული საზღვრის დაცვის ღონისძიებებით დიდ სარგებელს იღებენ.

მან აღნიშნა, რომ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნები არ უნდა იყვნენ ვალდებულნი, მხოლოდ ისინი ზრუნავდნენ სასაზღვრო დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებზე, რადგან ევროკავშირის ყველა შიდა საზღვარი ღიაა და მხოლოდ განაწირა სახელმწიფოებს არ უნდა უხდებოდეთ მთელი ხარჯების დაფარვა. მან ასევე დაამატა, რომ მანამდე, სანამ ხარჯების გადანაწილება განიხილავენ, აუცილებელია საერთაშორისო იმიგრაციული პოლიტიკის შემუშავება. ამდენად, ევროპის უპირველესი ამო-

ცანა იმიგრაციისა და სასაზღვრო კონტროლის სფეროში გასატარებელი ღონისძიებების კოორდინირებაა.

საზღვრის დაცვის მთელი სიმძიმე იტალიას აწევს, რადგან არალეგალური იმიგრანტები ჩრდილოეთ აფრიკიდან და ბალკანეთის ქვეყნებიდან სწორედ მისი ტერიტორიის გავლით ცდილობენ შესვლას ევროკავშირში. სწორედ ამ მიზეზით, იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრი ჯუზეპე პიზანუ გამოვიდა წინადადებით, შეიქმნას ერთიანი ევროპული სასაზღვრო პოლიცია, რომელიც არალეგალური იმიგრანტების ნაკადს გაუმკლავდება.

ბუტილიონემ ასევე დადებითად შეაფასა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის ოტო შილის ინიციატივა, ლტოლვილებისთვის ევროპული ცენტრები ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე გადაეტანათ. ბუტილიონემ კითხვის მხრივ დაამატა, რომ აღნიშნული ცენტრები განთავსებულ უნდა იქნენ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ფარგლებში, ხოლო იქაური საცხოვრებელი პირობები არ უნდა ჰგავდეს საკონცენტრაციო ბანაკის პირობებს.

24 საბატი



# მონევისა

**“ხრამჰსი-1-ის” რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელების მიზნით გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილეობის მისაღებად**

